საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№5 (6551) 4 თებერვალი ხუთშაბათი 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება

## ისევ თქვენი თანადგომით

ისევ დაძაბულია საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, იღვრება სისხლი, იზრდება აფხაზეთიდან ლტოლვილთა რიცხვი, რომელთა უმრავლესობა ჩვენი მიწიდან გადასახლებულთაგანია და, ბუნებრივია, ყველაზე საიმედო თავშესაფარი ჩვენთან ეგულებათ.

ისევ და ისევ მოვიკლოთ და ნუ გავუცრუებთ იმედს ჩვენს სისხლსა და ხორცს. ყველაზე საუკეთესოს სტუმრისთვის გაღება ჩვენთვის დამახასიათებელი თვისებაა და ჩვენც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ საკუთარი კარმიდამოდან იძულებით აყრილ ადამიანებს ხელი შევაშველოთ, გული გავუთბოთ.

ლტოლვილთა დახმარების შტაბში, რომელიც რაიონის საკრებულოსთანაა შექმნილი, ყოველდღე ხალხმრავლობაა, აქ შეხვდებით უკიდურესად შეჭირვებულ ადამიანებს, ზოგი დახმარების მიღებისთვისაა გამოძახებული, ზოგს მისთვის საინტერესო საკითხის გარკვევა აინტერესებს, ზოგი ჩვილისთვის საკვებს ეძებს, არსებობის საშუალებას ითხოვს. თუ სხვა სიკეთე არა, საკუთარ ჭერქვეშ მაინც ვართ და რა გული მოგვცემს რომ ადამიანებს არ დავეხმაროთ.

რაიონის სკოლის მოსწავლეების, პედაგოგების მიერ შეგროვდა ლობიო, სიმინდი, ტანსაცმელი, ოჯახური წარმოების კონსერვები და სხვა. 600 კილოგრამი ლობიო წყალტუბოს სანატორიუმებში მყოფ წარმომავლობით ლეჩხუმელ და ამჟამად აფხაზეთიდან ლტოლვილებს დაურიგდათ. რაც შეეხება აგრომრეწვბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, სულ 176.512 მანეთი შეგროვდა. აქედან 141.512 მანეთი ლტოლვილებზეა გაცემული.

ლტოლვილთა დახმარების ფონდი კვლავ თქვენი თანადგომით უნდა შეივსოს, ძვირფასო ლეჩხუმლებო!

მეომარი

## მისი ხატია სამშობლო

მძიმე ბავშვობა არგუნა ბედმა ცაგერის ღვინის საწარმოს ინჟინერ-ტექნოლოგს ბორის კვირკაშვილს. მამამისი, [illegible]ონა კადრის ოფიცერი იყო და უკრაინაში პოლონეთის სასაზღვრო ქალაქში მსახურობდა. მეუღლე ზინა და [illegible] 5 წლის ბორისიც თან ჰყავდა წაყვანილი. 1941 წელს ომის დაწყების პირველ დღეს სახლიდან გასულმა ცოლ-შვილი გააფრთხილა — ომი დაიწყო და ჩემს დაბრუნებამდე შინიდან არ გახვიდეთ, დავბრუნდები და თვითონ გამგზავრებთო. მაგრამ მის დაბრუნებამდე ქალაქის ევაკუაცია გამოცხადდა, სახლიც დაიცალა და დედამ დიდი წვალებით შეძლო თავისი შვილი სამშობლოში გამოეყვანა. ჩხუტელში თავიანთ ოჯახში დაბრუნდნენ. ოჯახში სამი წერილი ერთდროულად მოვიდა — ცოლ-შვილი დავკარგე და ხომ [illegible] ჩამოსულანო, მაგრამ ვერც [illegible] პასუხს მიიღებდა, ომმა იმსხვერპლა მამა. [illegible] კი 14 წლის ბორისს ავტოავარიაში დაეღუპა და მისი გაზრდა და გზაზე დაყენება ომის ინვალიდი ბიძის რაფიელ კვირკაშვილის ოჯახმა იკისრა. ბორისმა უმაღლესი განათლება მიიღო, დაოჯახდა. ახლა ბორისსა და მის მეუღლეს ფოთოლა გიორგობელიძეს სამი შვილი და ორი შვილიშვილი ჰყავთ, თუმცა არც დოვლათი აკლიათ, მაგრამ, რაც მთავარია, აქვთ პატიოსნებითა და სიკეთით სავსე ოჯახი.

ახლა ცხოვრებაგამოვლილ კაცს რა გააკვირვებს, რომ ცხადი გრძნობა დაუფლებოდა, როცა უფროსმა ვაჟმა აგრარული უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტმა ავღანელთა კავშირის წევრმა 25 წლის გიორგიმ სწავლა დატოვა და აფხაზეთში წასვლა გადაწყვიტა. სავალდებულო სამხედრო სამსახურისას ავღანეთის ომგამოვლილ ვაჟკაცს მიღებული საბრძოლო გამოცდილება დაეხმარა. შარშან შემოდგომაზე ავღანელმა ბიჭებმა აფხაზეთში საბრძოლო პოზიციები დაიკავეს, ერთი თვის შემდეგ გუმისთასთან მომხდარი შეტაკებისას 6 თანამებრძოლი ერთად დაკარგა გიორგიმ. გარდაცვლილი მეგობრები თბილისში ჩამოაცილა, მათი დაკრძალვის შემდეგ მეთაურმა ნოდარ გიორგაძემ გიორგის სახლში წამოსვლის უფლება მისცა. ამ მოკლე ხანში სოფელ ოყურეშში, დედულეთში გარდაცვლილი ბებია უკანასკნელ გზაზე გააცილა, დედ-მამა და ახლობლები მოინახულა და უკან წავიდა.

27 დეკემბერს დაუბრუნდა გიორგი ნაწილს. 31 დეკემბერს ახალი წლის ღამეს იერიშზე გადმოსულმა მტერმა „საახალწლო სიურპრიზი" მოუმზადა ჩვენს მეომრებს. ტყვიები დაუშინა ქართველთა პოზიციებს. დაიჭრა [illegible] ქართველი ბიჭები, ფეხში ავტომატის ორი ტყვია მოხვდა და დაიჭრა გიორგი კვირკაშვილიც. იგი ახლა თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობს.

უჭირს ბორისს სიკვდილს გადარჩენილ დაჭრილ შვილზე ლაპარაკი, მაგრამ გამგები ძამა მოთმინებით ხვდება. აქ გასაკვირიც, ყველა მშობელს უჭირს ომში შვილის გაგზავნა და ომის [illegible] ხვედრგამოვლილი ბორისიც არ იყო გამონაკლისი, მაგრამ როცა გიორგიმ უთხრა — საქართველო მარტო სადღეგრძელოში რომ უყვართ, ის ქართველი არა ვარო, ხმა ვერ ამოიღო.

ღმერთო, ჯანმრთელი და საღ-სალამათი დაუბრუნე გიორგი მშობლებს, იგი მარტო დედ-მამის სიამაყე როდია. მისით შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენ ყველამ და დავიჩემოთ, რომ არა, არ დაკარგულა ის თვისებები, რითაც ქართველები თავს ვიწონებდით, გვყავან, აი თუ არ გვყავან წმიდა გულის ლეჩხუმელი ვაჟკაცები, რომლებსაც მართლა გული ერჩით მამულისა სიყვარულით და არა ავი მიზნებით მიდიან ომში.

ჯ. მანდარია.

## დღის წესრიგშია მიწის რეფორმა

**მიწა ყოველთვის, ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში იყო და არის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი. ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის მთავრობამ არაერთი რეკომენდაცია მიიღო მიწის რეფორმის თაობაზე, მაგრამ დადებითი შედეგი არ მიგვიღია, ცუდი და უარყოფითი კი — ბევრი. ამჟამად ხელთა გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაცია მიწის პრივატიზაციის თაობაზე, რომლის საფუძველზე მთელს საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მოვუსმინოთ რაიონის მიწის რეფორმისა და რესურსების განყოფილების გამგეს მევლუდ თოდიძეს.**

### გაზაფხული კი არაა ისე შორსაა...

**— თქვენ უკეთ უწყით, ამ ბოლო წლებში მიწის რეფორმის თაობაზე ხმაური უფრო მეტია, ვიდრე კონკრეტული საქმე, კანონი კი ვერა და ვერ მივიღეთ. ამით ისარგებლა ბევრმა და კარგად იცით, რაც მოვიმკეთ. როგორ შეიძლება ეშველოს ამ საქმეს და რას ხედავთ პერსპექტივაში?**

— მიწის რეფორმის განხორციელების პროცესი შარშან დაიწყო. შეიქმნა კომისიები. მიწათმოწყობის რაიონული სამსახური კოორდინაციას უწევდა ამ პროცესს. აღდგა სოფლებს შორის ძველი საზღვრები, გაირკვა ამ საკითხში უთანხმოებანი. თქვენ ახსენეთ ის დარღვევები და დანაშაულობანი, რაც ამ პროცესს მოჰყვა. გეთანხმებით — ჯერ ერთი, კომისიები მუშაობდნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმით კი ძნელია საქმეზე ლაპარაკი. შარშან გვქონდა მითითება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები არ ჩაგვერთო კომისიებში, რაც ჩემის აზრით შეცდომა იყო. კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა მაინც ყველაზე უკეთ იციან სოფლის სავარგულები, მიწის ყველა მეპატრონე, და თუ გნებავთ მისი ხასიათიც კი, მიწის თითოეული გოჯი და ვფიქრობ, მათი გამოყენება ამ კომისიებში საჭირო და აუცილებელი იყო.

კომისიებმა ბევრი შეცოდეს. ბევრგან მიწის მემკვიდრეობითობის უფლება თავის სასარგებლოდ გაიგეს. კომისიის წევრებმა თავად დაირიგეს ვარგისი მიწები და ჩალაგამოვლებული დატოვეს ხალხი. ამის კონკრეტული მაგალითები იმდენად ბევრია, რომ ერთი-ორის დასახელება უაზრობაა.

**— კი, მაგრამ თქვენ აკონტროლებდით ამ კომისიების მუშაობას — რა გამოავლინეთ ან რა გაასწორეთ?**

— გამოვლენით მართლაც გამოვავლინეთ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენ ვერ ვსჯით, ამიტომ არაერთი საქმე გადავეცით ადმინისტრაციულ ორგანოებს, თუმცა ვერც იმათ მოიყვანეს ბოლომდე. მართალი არც ჩვენ ვართ და არც სამართალდამცავი ორგანოები, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ არ გვაქვს მიწის კანონი. ამიტომ მოხდა ამდენი თვითნებობა, მიწის დატაცება, კონფლიქტი და მკვლელობის ფაქტიც კი.

ახალი დებულების შესაბამისად შეიქმნა მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის განმხორციელებელი რაიონული კომისია (თავმჯდომარე რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა კოპალიანი). ჩატარდა რაიონული თათბირი. კოლმეურნეობათა და საკრებულოთა ხელმძღვანელებს მიეცათ მითითება ადგილებზე კომისიების შექმნისა და მუშაობის წარმართვის თაობაზე.

**— კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, ეკუთვნოდათ თუ არ ეკუთვნოდათ, ყველაფერი გამოვაცალეთ. რამდენად ეყოფათ მათ ავტორიტეტი და კომპეტენცია ამ რთული საქმის გასაძღოლად, მით უფრო მწარე გაკვეთილი ბევრი გვაქვს.**

— ავტორიტეტი, ჩემის აზრით აქ მთავარ ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს. ჩვენ არ გვჭირდება თითოეულ გლეხთან ურთიერთობა, მასთან სადაო და გასაყოფი არაფერი გვაქვს. ჩვენ გვჭირდება ზუსტი მონაცემები მიწის სავარგულის რაოდენობის შესახებ, ზუსტი ბალანსი, კომლთა სიები, კატეგორიების განსაზღვრა, ვინ არის წასული სოფლებიდან და ა. შ. ამის შემდეგ რაიონული კომისიისა და საკრებულოს წარმომადგენლების მონაწილეობით მოიწვევა სოფლის კრება. ადგილობრივი კომისია კრების მონაწილეებს წინასწარ აცნობს მიწის ფონდს, კატეგორიებს, მიწის ნორმას ამ კატეგორიების მიხედვით. შემდეგ კრება საჯაროდ, პერსონალურად წყვეტს თითოეულ კომლზე მიწის განაწილების საკითხს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ციფრული ბიბლიოთეკა

# გაზაფხული კი არც ისე შორსაა...

(დასასრული)

**—იქნებ მკითხველს განუმარტოთ მემკვიდრეობითობის პრივილეგიების შესახებ?**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ" საკარმიდამო ნაკვეთების შევსებასთან დაკავშირებით სამემკვიდრეო დავების აღმოფხვრისა და მოსახლეობისათვის გადაჭარბებულ ფართობზე გაშენებული მრავალწლიანი ნარგავების შენარჩუნების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილების მესამე პუნქტიდან ამოღებული იქნა სიტყვები „ამასთან შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოფათ ყოფილი მიწებიდან ნაკვეთი ნორმის ფარგლებში". ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დადგენილებით დღეიდან მიწის პრივატიზაციის დროს რაიმე მემკვიდრეობითობის პრივილეგია გაუქმებულია.

**—კოლმეურნეობებს რა ბედი ეწევა?**

—ჩემის აზრით, სოფლად უნდა შეიქმნას ძირითად საშუალებათა მოხმარების სფერო, რომელიც მოემსახურება ტექნიკით, შხამ-ქიმიკატებით, ყოველმხრივ (ამას შეიძლება დაერქვას მომსახურების რგოლი, აგროსერვისი). ამას ხალხი გადაწყვეტს.

**—როგორ ფიქრობთ, ეს დებულება საბოლოოა და აღარაფერი შეიცვლება?**

—ამ დებულებაში არაფერი შეიცვლება, მაგრამ დამცველი კი სჭირდება კანონის სახით, რომლის მიღება უნდა დააჩქაროს მთავრობამ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიწის განაწილება სწორად ვერ წარვმართოთ. თუ კომისიები ობიექტურად იმუშავებენ, ჩვენ შეგვიძლია მიწის ნორმალურად, უმტკივნეულოდ განაწილება. სიმართლით მოჭრილი მკლავი არავის ეტკინება.

**—გაზაფხული კი არც ისე შორსაა და ფაქტიურად მუშაობა არც დაწყებულა...**

—გეთანხმებით, ჩვენ, სოფლის მეურნეობის განყოფილება, ყველა ერთად, ახლა ამ საქმით უნდა ვიყოთ დატვირთული, რათა არ განმეორდეს წინა წლების შეცდომები და დარღვევები, მიწის განაწილება ეს იგივე რევოლუციაა და აქედან გამომდინარე გასაგებია ის დიდი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა, რაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო საკითხის გადაჭრას სჭირდება.

# ერთი წიგნის გამო

1990 წელს გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, დავით კობალიანის ნაშრომი „სახალხო განათლება და კულტურა რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი)" (ტირაჟი ორი ათასი ცალი). განათლების სამინისტრომ წიგნი გაანაწილა რაიონების განათლების განყოფილებებზე სკოლებისათვის. ასე რომ, საცალო ვაჭრობაში ვერ მოხვდა, ამიტომ დაინტერესებულ მკითხველთაგან ბევრი ვერ მისწვდა.

ვფიქრობ, მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება, იცოდეს, რას შეეხება აღნიშნული ნაშრომი.

პირველ რიგში, მინდა, მოგაწოდოთ რეცენზენტების, პროფესორების ტიტე სარიშვილისა და დიმიტრი გურგენიძის რეცენზია-დასკვნები.

პროფესორი ტ. სარიშვილი განიხილავს რა ნაშრომს, წერს: „შრომა შეისწავლის დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების, კერძოდ, რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის კულტურის ისტორიას უხსოვარი დროიდან XIX ს-ის შუა პერიოდამდე მიმოხილვით, ხოლო განათლებისა და კულტურის საკითხებს XIX ს-ის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე.

შრომას აქვს აქტუალური მნიშვნელობა იმით, რომ აღნიშნული რეგიონის სახალხო განათლება და კულტურა, დროის მოცემულ მონაკვეთში საერთოდ შეუსწავლელი არ არის და ავტორის ძიებები, მოგვცემს დასახელებული რაიონების განათლების და კულტურის რეალურ სურათს, მოსაწონი და მისასალმებელია.

I თავში — „სახალხო განათლება და კულტურა უძველესი ხანიდან XIX ს-ის შუა პერიოდამდე დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში" (გვ. 9-38) ავტორი არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით დაწვრილებით აანალიზებს რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის განათლებისა და კულტურის განვითარების ისტორიას უძველესი ხანიდან (გვიანი ბრინჯაოს პერიოდი) XIX საუკუნის II ნახევრამდე. ამისათვის ავტორი საფუძვლიანად გვაცნობს დასახელებული რეგიონის არქეოლოგიური გათხრებისა და ექსპედიციების მასალებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს, ისტორიულ და გეოგრაფიულ ნარკვევებს, საგაზეთო სტატიებს, ეკლესია-მონასტრების როლს სასულიერო განათლების კერებში, მკვლევარ-მოგზაურთა ჩანაწერებს, ცალკეულ ავტორთა გამოკვლევებს, ფოლკლორულ მასალას, რომლებიც ასახავს დასახელებული რეგიონის განათლებისა და კულტურის განვითარების მოკლე მიმოხილვით ისტორიას და ქმნის საფუძველს ახალი პერიოდის შესწავლისათვის.

II თავი — „დაწყებითი განათლება XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დამდეგს (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში" (გვ. 39-201) შედგება რვა ქვეთავისაგან, სადაც თანამიმდევრულადაა შესწავლილი ცალკეული მთიანი რაიონის დაწყებითი სკოლების ქსელი, სწავლების შესაძლებლობანი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტი; საეკლესიო-სამრევლო სკოლების ადგილი სწავლა-აღზრდის საქმეში; რაიონის მასწავლებელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა 1905-1907 წლების რევოლუციაში; სახალხო განათლება რევოლუციის შემდგომ პერიოდში: პროგრამები, სკოლის ხელმძღვანელობა, მასწავლებელთა ინსპექტირება; ბრძოლა ქართულ ენაზე სწავლის უფლებისათვის; საოჯახო აღზრდა, ტექნიკური და სამეურნეო განათლება; სკოლის მატერიალური ბაზა, სასწავლო ხარჯები და ა. შ. აქვე მოცემულია, რამდენი ქართველი სწავლობდა რეგიონიდან საზღვარგარეთ და რომელ ქვეყანაში.

ავტორს უამრავი ფაქტობრივი მასალა შეუგროვებია ნაშრომის ამ მონაკვეთში, რომელიც საინტერესოდ იკითხება და ნამდვილად გააჩნია მეცნიერული ღირებულება.

III თავში — „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები" (გვ. 206-215) ავტორი ეხება საკვლევ რეგიონში გასულ საუკუნეში მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ინვენტარით მომარაგების, ბიბლიოთეკების გახსნის და მათი მუშაობის შინაარსის, ჟურნალ-გაზეთების გავრცელების, მეთოდური ნათარგმნი, ეროვნული ლიტერატურის, წიგნადი ფონდით ბიბლიოთეკების გამდიდრების, თეატრალური კულტურის განვითარების და სხვა საკითხებს.

IV თავში — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" (გვ. 215-224) დაწვრილებითაა აღწერილი აკაკის შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, წარმოჩენილ ადამიანებთან. მოცემულია აღნიშნული ფაქტის კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა მოცემული რეგიონისათვის".

პროფესორი დ. გურგენიძე წერს: „...გამოყენებული წყაროების შესწავლისა და მეცნიერული გაანალიზების საფუძველზე შექმნილია საინტერესო მონოგრაფიული შრომა, რომელიც ფართო მკითხველ საზოგადოებას გარკვეულ წარმოდგენას მისცემს კულტურისა და განათლების ისტორიაზე დასახელებულ რეგიონებში.

ავტორი დიდი ინტერესითა და მონდომებით არკვევს ნაშრომში აღძრულ ყველა საკითხს და ხშირ შემთხვევაში ჩვენს თვალწინ აცოცხლებს იმათ სახელებს, ვინც ყველაფერი იღონეს ხალხში განათლებისა და კულტურის გავრცელებისათვის.

ავტორი დავიწყების მტვერს აცლის ბევრ ისტორიულ ფაქტს და მოვლენას, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თული კულტურის სულიერი და მატერიალური ძეგლების შენარჩუნებაში, უძველესი ქართული კულტურისა და განათლების მდიდარი ტრადიციების შემდგომ განვითარებაში".

მე ჩემის მხრივ, დავამატებდი იმას, რომ ნაშრომში გატარებული პროგრესული ხასიათის პედაგოგიური ნააზრევის თაობაზე მეტროვე გავებს, მასწავლებელთა ზნეობრივი სრულყოფისათვის ზრუნვა, სახალხო განათლებისათვის საქველმოქმედო დადებითი მაგალითები და სხვა საინტერესო მასალები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ნაშრომი წარსულის პატივისცემასთან ერთად თავის სიტყვას იტყვის სახალხო განათლების და კულტურის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

ნაშრომს ისტორიულ-საცნობარო პრეტენზიაც აქვს. მასში უხვადაა მასალები გასული საუკუნის 50-იან, 70-იან, 90-იან და 900-იან წლებში სკოლების, სამკითხველოების, წიგნსაცავების, ეკლესია-მონასტრების, სამრევლო სკოლების გახსნის ზუსტი თარიღების, გასული საუკუნის 90-იან და 900-იან წლებში მასწავლებელთა კონტინგენტის შესახებ; გვიან შუა საუკუნეებში და 900-იან წლებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.

ნაშრომში ვეცნობით გასულ საუკუნეში და უფრო ადრე რეგიონში მცხოვრებ გამოჩენილ ადამიანებს, პედაგოგებს, მღვდელმსახურებს, კორესპონდენტებს, ქველმოქმედთა და სხვებს, იმათ, რომელთა სახელები დაუვიწყარი უნდა იყოს.

ნაშრომი უნაკლო არ იქნება. მის პრეტენზია არც თვით ავტორს აქვს. ამის თაობაზე საუბარი, ალბათ, სცდება ჩემი კომპეტენციის საზღვრებს. მე მსურს, აღვნიშნო მხოლოდ ერთი გულსატკენი, რომ ნაშრომის გამოცემა მოხდა ძალიან მცირე ტირაჟით და ამასთან ქაღალდიც დაბალი ხარისხისაა. ამას გარკვეულად ობიექტური მიზეზიც ჰქონდა — წიგნი გამოიცა 1990 წელს.

ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ნაშრომი გამოიცემოდა ხელმეორედ უფრო მაღალ საგამომცემლო დონეზე და უფრო ფართო ტირაჟით, რათა ხელმისაწვდომი იქნეს ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

**მაყვალა კოკალიანი,**
**ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

# სტიქია მძლავრობს

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს არც ბუნებამ დაინდო რესპუბლიკის მცხოვრებნი. თითქმის ორი თვეა ყოველდღე თოვს. სუბტროპიკულ რეგიონებშიც კი მოვიდა თოვლი, სადაც იგი იშვიათობას წარმოადგენდა. სისტემატურად იკეტება საავტომობილო გზები, უღელტეხილები, უჭირთ ადამიანებს მგზავრობა. ამის შედეგია, რომ მგზავრობის ღირებულებამ თბილისიდან თუ პირიქით კოლოსალურ თანხას მიაღწია.

კიდევ მეტად უჭირს ჩვენს რაიონს. ორი თვეა განუწყვეტლივ თოვს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თოვლი მოვიდა იანვრის მეორე და მესამე დეკადაში. რაიონის მაღალმთიან სოფლებში ნაკურალეშში, ნაკიერში, ღვიორი-, თაბორში, ისუნდერში, ლაილაშში და სხვ. [სოფლებ]ში თოვლის სიმაღლემ ორ მეტრს მიაღწია. მთას არც ბარის სოფლები ჩამორჩა, თითქმის ყველგან თოვლის საფარი 1 მეტრია. მოსახლეობა იძულებული გახდა ორ-სამჯერ დაეთოვლა საცხოვრებელი სახლები თუ სამეურნეო ნაგებობები.

სისტემატურად იკეტება ცაგერი-წყალტუბოს საავტომობილო გზის მონაკვეთი გელავერზე. თოვლის ზვავები და მეწყრები ჩამოდის სარეწყალასა და სხვა ორპირ კლდეებში, საწვავის ნაკლებობის გამო საგზაო საწარმოებს უჭირთ გზების გაწმენდა, ამიტომ ავტობუსები ვერ დადიან, თუ წავიდა, მთელი დღე გზაშია. მაგალითად 22 იანვარს დილით, 9 საათზე გასული „ვაზის" ტიპის ავტობუსი, იმის გამო, რომ გელავერის გადასასვლელი გაუწმენდავი იყო, საღამოს 9 საათზე ჩავიდა წყალტუბოში.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა რაიონის შიდა საავტომობილო გზებზე. დღეს-დღეობით ჩაკეტილია ცაგერი-ორბელი-ალპანის საავტომობილო გზა. გაუვალობით სოფლებში მისასვლელ საავტომობილო გზებზე ლაპარაკი ზედმეტია.

შეფერხებებია ლაჯანურჰესიდან ელექტროენერგიის მოწოდების საქმეში. რიგ სოფლებს კვირაობით არ მიეწოდება ელექტროენერგია.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების საქმეში. თითქმის უმეტეს სოფლებთან არ არის სატელეფონო კავშირი, არ მუშაობს რადიო. დიდ მიღწევად ითვლება კვირაში თუ ერთხელ მაინც ამოიტანს ქუთაისიდან ფოსტა, ჟურნალ-გაზეთები. ჩვენ რომ პრესას გავეცნობით, მაშინ იგი რესპუბლიკაში საკმაოდ მოძველებულია.

საკრებულოების, მოწოდებული ორგანიზაციების ვალია მეტად გააქტიურონ მუშაობა, სტიქიას მონდომებული, ნაყოფიერი შრომა დაუპირისპირონ, რათა რაიონის მცხოვრებლებს ელემენტარული ცხოვრების პირობები მაინც შეუქმნათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**მარიკა დოლბაიას, პაატა კოპალიანს**

გილოცავთ დაქორწინებას. მარად სიყვარულით გაბრწყინებულიყოს თქვენი ცხოვრების გზა. იბედნიერეთ, იხარეთ მრავალჟამიერ.

**კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს კოლექტივი.**

---

**გიული თენგიზის ასულ მახაროგლიძეს**
**გოგიტა რუბენის ძე გოქაძეს**

გილოცავთ დაქორწინებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**ლაჯანის საგავშვო ბაღის თანამშრომლები.**

---

**ქეთინო ლოლელიანს, ოთარ ახვლედიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი ლამაზი სიყვარულისა და ოჯახის მფარველი.

**მადონა, დემურ ახვლედიანები.**

# გილოცავთ

**ლალი, გორია, ჟენია განძელაძეებს**
**ნანული, გრიშა კოპალიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**ვაჟა, თემურ, მურთაზ კოპალიანები.**

---

**ჟუჟუნა შკუბულიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

**ნათლული მედეა მეშველიანი.**

---

**ჟუჟუნა შკუბულიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

**ცაგერის ბაგა—ბაღის თანამშრომლები.**

---

**მარინე ზურაბის ასულ სვანიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

**ცაგერის ბაგა—ბაღის თანამშრომლები.**

---

**გულო, ზურაბ ხაბულიანებს**

გილოცავთ მაიას ბედნიერებას.

**ზურაბ სვანიძე ოჯახით.**

---

**ლია, შარდენ სვანიძეებს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.

**ვენერა ჩაჩხიანი, აზა ჭაბუკიანი.**

---

**ზაურ ახვლედიანის ოჯახს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**რუსუდან ახვლედიანი.**

---

**ჟენია მურცხვალაძეს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

**ცაგერის ბაგა—ბაღის თანამშრომლები.**

---

**ქეთინო, ჯუნგრი, ლოლა, გრიშა სალინაძეებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**ნუშარ ხვადაგიანი ოჯახით.**

---

**იზა, გია გურჯალიანებს**

გილოცავთ ვაჟიანობას. გამრავლდით!

**ზურაბ სვანიძე ოჯახით.**

---

**იზა, გია გურჯალიანებს, ზაირა ჭილვარიას**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**თემურ სილაგაძე, იური ჩხეტიანი, გოგი ჭაბუკიანი, ჯონი მეგრელი, არჩილ სიგაშვილი, სულიკო ყურაშვილი.**

---

**ზურიკო, ნატო, გრიშა, სულიკო ნემსწვერიძეებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**ზურაბ, გორის გოგიძეები ოჯახებით.**

---

**ჩიტო ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ დათოს ბედნიერებას.

**ბადრი სალინაძე ოჯახით.**

---

**ლამარა, ზურაბ ქარსელაძეებს**

გილოცავთ ბადრის ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

**იუზა უგრეხელიძე, გურამ გერიძე, მიშა ბაკურაძე, გელა სილაგაძე, დემურ გულბანი ოჯახებით.**

---

**გერდია რაინდის ძე გურჯალიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

**ხატია და მათე.**

---

**დუდუშა სვანიძეს**

გილოცავთ ძმისშვილის შეძენას, გაგეზარდოთ სასახელო ქალი.

**სახელმწიფო სატყეო მეურნეობის კოლექტივი.**

---

**მარიკა ტვილდიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. ყველა წმინდა სალოცავი და კეთილი სურვილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების უანამგზავრი.

**გოჩა, სოფო, გესიკო, მირიან, ფატი, ბაკურ ტვილდიანები.**

---

**ჩიტო ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ დათოს ბედნიერებას.

**სეით ყურაშვილი ოჯახით.**

---

**ნანა, ზურა ხეცურიანებს**
**ლია, ზაურ ახვლედიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**ციცო სადილიანი, ლია გუგავა, ინგა თოთაძე, მანანა კოპალიანი, ჟუჟუნა მეშველიანი, აზა ირემაძე, ლია მუშკუდიანი, მედიკო ნემსაძე, მაია გახსოლიანი, ნანა გატიაშვილი, ლელა სვანიძე, შურა ნემსწვერიძე, მანანა სალინაძე.**

---

**ნანა ახვლედიანს, ზურაბ ხეცურიანს**

გილოცავთ პირველ სიხარულს, ქალიშვილის შეძენას, იმრავლეთ.

**მაკა, მერაბ ახვლედიანები.**

---

**ლალი, გორია, ჟენია განძელაძეებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

**ნაირა ქარსელაძე, ვერიკო მეშველიანი.**

---

**იზა, გია გურჯალიანებს**
**ლილი, შალვა გურჯალიანებს**
**ზაირა ჭილვარიას**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი, ერის სასახელო, სულით ჯანსაღი ბიჭი.

**რეზო, ჯაბუ, გულა ტვილდიანები, ვაჟა კვენეტაძე ოჯახებით.**

---

## ხსოვნა

## ბუჭუ რომანოზის ძე მურცხვალაძე

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ბუჭუ მურცხვალაძე აკლია ლეჩხუმის საზოგადოებას, როგორც მისი აქტიური წევრი, ულალატო მეგობარი, ბევრი კარგი საქმის მოთავე და შემსრულებელი, გამორჩეული ხელმძღვანელი.

ძნელია დაიჯერო, რომ დრო მკურნალია, ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩვენთვის, შენი ცოლშვილისთვის. ახლაც ცრემლი გვახრჩობს და ამაოდ ვეძებთ სიტყვებს შენთან სასაუბროდ.

6 წელი გასულა იმ საბედისწერო დღიდან, მეხი რომ დაეცა შენს ოჯახს, 6 წელია საოცრად გვენატრება შენი სითბო და სიყვარული, შენი ვაჟკაცობა. შენ ყველაფერი იყავ, სიამაყე და სიმაღლე ჩვენი.

27 იანვრის სუსხიანი დღე იყო. იმ დღეს შეწყდა შენი გულის ფეთქვა, სიყვარულით, სიკეთით, ძალუმად მფეთქავმა გულმა გიღალატა უდროოდ. შავმა და თალხმა დაისადგურა შენს ოჯახში.

გაუსაძლისია ტკივილი ჩვენი, ამაოა მოლოდინი ჩვენი, სიზმარში თუ მოგველანდები და ამით ვსულდგმულობთ.

ერთი იმედი დაგვრჩენია, თუ ამას იმედი ჰქვია. ყოველ წელიწადს 2 თებერვალს, დაბადების დღეს გიხდით, მოდიან შენი ახლობლები, მეგობრები, მოგონება, შენს კაცობაზე საუბარი ერთგვარად გვიმჩატებს გულს, სევდას გვიმსუბუქებს.

ახლაც 2 თებერვალს მოვედით შენს საფლავთან, მდუღარე ცრემლი დაგაფრქვიეთ, მოგეფერეთ, მერე შენს საყვარელ ჭერქვეშ შენი სადღეგრძელოები აიწია, შენი მონატრების, 67 წლის ბუჭუ მურცხვალაძის არდავიწყების.

შენს ფუძეზე იზრდება, ვაჟკაცდება ბუჭა, ერთადერთი საფიცარი შვილიშვილი შენი. ღმერთმა დაანათლოს ბაბუას კაცობა და ღირსებები.

**შენი ოჯახი.**

---

უახლოესი მეზობლები უშანგი, ვალოდია, გრიშა კვენეტაძეები, კარლო გახსოლიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ვენო გურგუჩიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ბუჭუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიჭიკო შკუბულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნადია ხაბულიანი.**

---

ლაჯანის ორსართულიანი საერთო ბინების მცხოვრებნი თანაუგრძნობენ ოჯახს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

დისშვილები წონა, გრიშა, ეთერ ნემსწვერიძეები, სიძეები შოთა სილაგაძე, ენდი ფრუიძე იუწყებიან

**ჟენია იოსების ასული თავვაძე-ახვლედიანის**

გარდაცვალებას.

---

კოტე ლაკვეხელიანი, კაკო ყურაშვილი, ემზარ ხეცურიანი, კოწია ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანვერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა ბაკურაძე, რეზო გიორგობიანი, კუჭიკო მახაროგლიძე, დადაში ურთმელიძე თანაუგრძნობენ ოჯახს

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

სასურსათო კომბინატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კომბინატის თანამშრომელი

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელი.**

---

ვეტსამკურნალო - ლაბორატორიის, მეთესლეობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული გენდელიანს მამის

**აქვსენტი გენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბუჭუ, დავით, როინ ლიპარტელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

აკაკი აპოლონის ძე ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ფოთოლა, გელა ხაბულიანებს, გორის, რეზო პენდელიანებს

**აქვსენტი გენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები მიშა, დავით, გორის, ვლადიმერ, ვაჟა ლეშკაშელები, სონა მეგრელი, ჯუმბერ ფრუიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

გულვერ, რომან გიორგობიანები, მერი, ზურაბ ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ეთერი, თათარო ნემსწვერიძეებს მეუღლისა და დეიდაშვილის

**გრიშას**

გარდაცვალების გამო.

---

მურმან, ამირან, ავთო სალინაძეები, გივი ლეთოდიანი, ბუჭუ გენდელიანი თანაუგრძნობენ გულო, თამაზ სალინაძეებს

**ჟანვერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო ფუტკარაძე, მიშა მამარდაშვილი, გივი გენიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაჯი (კუსა) ედემის ძე ხეცურიანი.**

შვილები გელა, აკაკი, რძლები ზინა, ფოთოლა როზა, მეული ჟანია, მაზლიშვილი მერი, სიძეები ბიჭიკო, ბორისი, შვილიშვილები გია, გოგიტა, რიტა, დათო, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ლუკას ასული კოპალიანი-ხაბულიანი.**

---

წიფერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაია ლურჯუმალიძეს მამის

**დავითის**

და მარინე კვერნაძეს ბებიის გარდაცვალების გამო.

---

გურამ, ანზორ ტვილდიანები, არჩილ, ჯუსტან, დემურ ნემსწვერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ეთერ ნემსწვერიძეს მეუღლის

**გრიშას**

გარდაცვალების გამო.

---

ტიტიკო კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნანი, ჟორა თუთისანებს

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ, დიტო გოგიძეები, კოგა კოპალიანი, მირზა ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა ლიპარტელიანი-ბაქრაძე.**

---

გურამ, გულვერ, ჯიმშერ გიორგობიანები, გუხუტი, მერი, ჯემალი, კაკო, შალვა ხეცურიანები, ბივი გუგავა, ავთანდილ, ანზორ, იური ახვლედიანები, რეზო ჩხეტიანი, გურამ ტვილდიანი, თათარო, გრიშა ნემსწვერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟუჟუნა, დისიონ სვანიძეებს შვილის

**ჟანერის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები გოგი ნემსწვერიძე, ოთარ ლიპარტელიანი, ნუშარ, შურა ლეთოდიანები, გრიშა ონიანი, ბივი, კოგა, გურამ მდივნები, თამაზ, მურთაზ თაგვაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნონა, გულო სვანიძეებს ძმის

**ჟანერის**

გარდაცვალების გამო.

---

ალვის საკრებულოს, კლუბ-ბიბლიოთეკის, საექიმო უბნის, კავშირგაბმულობის განყოფილების, სავაჭრო ორგანიზაციების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლენა, ჟორა ყურაშვილებს დედისა და სიდედრის

**ლუბა ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ციცო სადილიანი, აზა ირემაძე, მაია გახსოლიანი, მედიკო ნემსაძე, ლია მუშკუდიანი თანაუგრძნობენ ნონა, გულო სვანიძეებს, ეთერ ხვადაგიანს ძმისა და დისშვილის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ეთერი, შვილები მიმოზა, ლალი, მერაბი, ვალიდა, რძალი მადონა, შვილიშვილები ნინო, გოჩა, მარინე, გია, ლაშა, ალუდა, გრიგოლი, და ოლია, სიძეები ანზორი, ჯუმბერი, ბიჭიკო, მამიდები პელო, ანიჩკა, ნიძა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ცოლისძმები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა ესტატეს ძე ნემსწვერიძე**

---

რეზო, გურამ ქომეთიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბელა, აკაკი ხაბულიანებს დედის

**ნადიას**

დალი, ბელა ხაბულიანებს მამის

**აქვსენტი ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გრიშა ლეშკაშელი, ვალიკო ახვლედიანი, მურთაზ ფრუიძე ოჯახებით იუწყებიან

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელის**

გარდაცვალებას.

---

ოთარ სვანიძე, ჯანიკო კოპალიანი, იური ახვლედიანი, გონდო თუთისანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟანერ დისიონის ძე სვანიძე.**

---

რევაზ, ბორის ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბელა, კაკო ხაბულიანებს დედის

**ნადია ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჟანერ დისიონის ძე სვანიძე.**

---

დეიდა ეთერი, ბიძა სამსონი, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟანერ დისიონის ძე სვანიძე.**

---

ბივი ბენდელიანი, გრიშა შკუბულიანი, ლუდუკი ხეცურიანი, ბადრი ქომეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ძაძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი, ლია მუშკუდიანი თანაუგრძნობენ გულო, თამაზ სალინაძეებს

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

კოლია, რუბენ ხვადაგიანები, ვლადიმერ ჭაბუკიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნონა, თენგიზ ხვადაგიანებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები შურა, ციალა, ლუჩი, ბორისი, მაგული, რევაზი, ფოთოლა, რძლები ლეილა, კუგლაშვილი, მზია ჩხეტიანი, და მარო, სიძეები გურგენ ირემაძე, ელგუჯა მუშკუდიანი, ბელა ხაბულიანი, ტრისტან არდანიანი, შვილიშვილები, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აქვსენტი თეოფანეს ძე ბენდელიანი.**

---

ნუშარ ხვადაგიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ნონა, გულო, დისიონ სვანიძეების ოჯახებს

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ტერიტორიაზე მყოფი ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ, მერაბ დავითულიანები, ხვიჩა, რომან ბენდელიანები, ნუგზარ გამარდაშვილი, გრიშა ახვლედიანი, გუჭუ შკუბულიანი, ჭიჭიკო კოპალიანი, შურა თუთისანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა თუთისანის ოჯახს

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ფოთოლა, სიძე ბელა ხაბულიანები იუწყებიან

**აქვსენტი ბენდელიანის**

გარდაცვალებას.

---

უახლოესი მეზობლები ემზარ ლიპარტელიანი, როლანდ ავალიანი, აკაკი ნემსწვერიძე, რეზო, შოთა, დაზმერ კოპალიანები, სოზარ ალბერტ ბენდელიანები თანაუგრძნობენ ბელა, აკაკი, დალი, როზა ხაბულიანებს დედის

**ნადიას**

დალი, ბელა ხაბულიანებს მამის

**აქვსენტი ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნორა ლიპარტელიანს დედამთილის

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ლიპარტელიანს დედის

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, ბავშვთა სპორტსკოლისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო, თამაზ სალინაძეებს

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის კოლექტივი თანაუგრძნობს გურამ ლიპარტელიანს ბებიის

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის კოლექტივი თანაუგრძნობს ბელა ხაბულიანს დედის

**ნადიას**

და სიმამრის

**აქვსენტი ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოტელო მდივანი, გრიშა შკუბულიანი თანაუგრძნობენ თენგიზ, ნონა ხვადაგიანებს, გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ანდრო გურჯალიანი, საშა ბერიძე, ამირან ახვლედიანი, მერაბ ჭილვარია, ოლეგ გიორგობიანი, გია ჭაბუკიანი, გოგი მუშკუდიანი, ნანი ხაბულიანი, ქიშვარდი ყურაშვილი, მევლუდ სილაგაძე, ვენედი ცხვედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, ნუგზარ ჭაბუკიანებს დეიდაშვილის

**ჟანერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქუჩუკი შკუბულიანი, მიშა ყურაშვილი, რუბენ გოგიძე, ბიძინა პირველი, რეზო სალინაძე, სერიოჟა ლურჯუმალიძე, დათო, დადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, ბელა სალინაძეები, ოთარ ლიპარტელიანი, ბივი ჩაფრავა, კარლო ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალებას.

---

ანდრო გურჯალიანი, ამირან ახვლედიანი, გია ჭაბუკიანი, ოლეგ გიორგობიანი, ნუგზარ ჭაბუკიანი, ქიშვარდი ყურაშვილი, მერაბ ჭილვარია, ნანი ხაბულიანი, მევლუდ სილაგაძე, გოგი მუშკუდიანი, საშა ბერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლილი ლიპარტელიანს და ვენედი ცხვედიანს დედისა და სიდედრის

**დომნას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ მურმან ლიპარტელიანს და ბესიკ ცხვედიანს ბებიის

**დომნას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლენა ლიპარტელიანს დედამთილის

**დომნა ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალვის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ლენა, ჟორა ყურაშვილებს დედისა და სიდედრის

**ლუბა ჯიაძე-ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაინდი, რომან ჩხეტიანები, ჯონი, მურთაზ სილაგაძეები, რამაზ, იური მახარობლიძეები, ბელა გუგავა, ქეთევან ჩაჩხიანი თანაუგრძნობენ ლია გვიშიანს მეუღლის

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ეკა ლეშკაშელს მამის

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ფრუიძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ბესო ლაკვეხელიანი, ზურაბ ჭიაბერაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალებას.

---

გურამ ბერიძე, იუზა უზრეხელიძე თანაუგრძნობენ ოჯახს

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

იური გიორგობიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ნორა, დარეჯან მახარობლიძეები, თამილა გურასაშვილი, ფერიდე გოგებაშვილი თანაუგრძნობენ ლია გვიშიანს მეუღლის

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯონი მებრელი ღრმა მწუხარებით იუწყება

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების, შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია გვიშიანს მეუღლის

**არსენ ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაზი, ბორის ჭაბუკიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გუჭუ გაბრატის ძე სალინაძე.**

---

უჩა ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნანი, ჟორა თუთისანებს ძმის

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. № 56.

ტელეფონები: რედაქტორის—22-31, საერთოს— 22-43; სტამბის დირექტორის—22-17.

ტირაჟი 1244. შეკვეთა №2.

ცაგერის რაიონული სტამბა.